საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №576

2011 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესი“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესი

მუხლი 1

იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესი (შემდგომში – წესი) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, აგრეთვე მათი ძირითადი ელემენტების, ბალისტიკური შემოწმების, იარაღიდან გასროლის (მათ შორის, ექსპერიმენტული გასროლა), იარაღის დადამღვის წესსა და პირობებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

მუხლი 2

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

ბ) სააგენტოს თანამშრომელი – კანონმდებლობის თანახმად იარაღის ბალისტიკური შემოწმების, ექსპერიმენტალური გასროლისა და იარაღის დადამღვის განხორციელებაზე სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი;

გ) იარაღი – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღი;

დ) ძირითადი ელემენტები – ლულა, დოლურა, ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი;

ე) დამამზადებელი – პირი, რომელსაც აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია;

ვ) საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვა – იარაღის საიდენტიფიკაციო ნომრის დაზიანების ან მისი არარსებობის შემთხვევაში ამ წესით განსაზღვრული წესით იარაღისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება;

ზ) დამზადებული იარაღის მოწმობა – სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის, დამზადებულ იარაღთან დაკავშირებული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას ადასტურებს დამამზადებლის მიერ დამზადებული იარაღის გასხვისების ფაქტს;

თ) დაინტერესებული პირი – კანონმდებლობით დადგენილი პირი, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი უფლება, მოსთხოვოს სააგენტოს ამ წესით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

მუხლი 3

1. იარაღის ბალისტიკური შემოწმებით დგინდება იარაღის (მისი ძირითადი ელემენტების) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მახასიათებლებთან შესაბამისობა, განისაზღვრება იარაღის სახე, ტიპი, მოდელი, ძირითადი მახასიათებლები, საიდენტიფიკაციო ნომრები. ასევე, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში, მასრებისა და ტყვიების ტყვია-მასროთეკაში განთავსების მიზნით იარაღიდან ხორციელდება ექსპერიმენტული გასროლა.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაციისათვის განკუთვნილ იარაღზე, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ, რეალიზაციისათვის განკუთვნილ იარაღზე ბალისტიკური შემოწმების განხორციელებისას განისაზღვრება იარაღის სახე, ტიპი, მოდელი, ძირითადი მახასიათებლები, საიდენტიფიკაციო ნომრები, იარაღის საბაზრო ღირებულება, ხოლო იარაღიდან ექსპერიმენტული გასროლა ხორციელდება ამ ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ წესით.

3. სააგენტოს მიერ ბალისტიკური შემოწმება ხორციელდება:

ა) რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის განკუთვნილ იარაღზე;

ბ) იარაღის შემადგენლობისაგან განცალკევებულად რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ძირითად ელემენტზე;

გ) იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობისას სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ სარეალიზაციოდ განკუთვნილ იარაღზე (გარდა, სპორტული გრძელლულიანი ცეცხლსასროლი, სპორტული მოკლე გლუვლულიანი და გაზის (აირის) იარაღებისა);

დ) იარაღის დამამზადებელის მიერ, დამზადებულ, სარეალიზაციოდ განკუთვნილ იარაღზე;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით, აუქციონის გზით რეალიზაციისათვის განკუთვნილ, ყადაღადადებულ იარაღზე;

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ რეალიზაციისათვის განკუთვნილ იარაღზე;

ზ) ლიცენზირებულ პირთან შეკეთებულ იარაღზე, თუ იარაღის შეკეთების შედეგად იცვლება იარაღის ბალისტიკური მონაცემი;

თ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის აღდგენისას (დაკარგვის ან დაზიანებისას).

4. ბალისტიკური შემოწმების აქტში ძირითადი ელემენტების, აგრეთვე ტიბჟირის აღნიშვნა ხორციელდება ლათინური ასოებით (ჩარჩო – a, ლულა – b, ტიბჟირი – c, ლულის კოლოფი – d, ჩამკეტი – e, დოლურა – f), რომლებიც დაიტანება იარაღის ძირითადი ელემენტის ან ტიბჟირის საიდენტიფიკაციო ნომრის წინ. ამასთან, იარაღის ტიპისა და კონსტრუქციული თავისებურების გათვალისწინებით, სააგენტოს თანამშრომელი განსაზღვრავს, რომელი საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე ძირითადი ელემენტის ასახვაა საჭირო ბალისტიკური შემოწმების აქტში.

5. ბალისტიკური შემოწმების ჩატარების შემდგომ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით რეალიზებული იარაღის საკუთრებად რეგისტრაციისას, შემძენი ფიზიკური პირი, შემდგომი რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) საფუძვლის წარმოშობამდე, თავისუფლდება იარაღის ბალისტიკური შემოწმების განხორციელებისაგან.

6. ბალისტიკური შემოწმების ჩატარების შემდგომ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით რეალიზებული იარაღის საკუთრებად რეგისტრაციისას, შემძენი ფიზიკური პირი, შემდგომი რეგისტრაციის (ხელახალ რეგისტრაციის) საფუძვლის წარმოშობამდე, თავისუფლდება იარაღის ბალისტიკური შემოწმების განხორციელებისაგან (გარდა ექსპერიმენტალური გასროლისა ან/და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და დადამღვისა).

7. იარაღის ბალისტიკური შემოწმებისას, იარაღის (მისი ძირითადი ელემენტის) დაზიანების ან სხვა ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, იარაღის შეკეთებაზე ლიცენზიის მქონე პირთან იარაღის გადატანის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა. აღნიშნული გარემოების არსებობისას ბალისტიკური შემოწმება წყდება.

8. იარაღის ბალისტიკური შემოწმების შედეგად დგება ელექტრონული ან/და მატერიალური სახის იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი.

9. იარაღის დამამზადებლის მიერ დამზადებული, სარეალიზაციოდ განკუთვნილი იარაღის ბალისტიკური შემოწმების შედეგად დადგენილ მონაცემები, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამატებით აისახება დამზადებული იარაღის მოწმობაში.

10. იარაღის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ბალისტიკური შემოწმების შდეგად აქტში ასახული იარაღის (მისი ძირითადი ელემენტის) მონაცემები უცვლელად აისახება სარეგისტრაციო მონაცემებად.

11. სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იარაღის (მაგრამ ერთდროულად არანაკლებ სამი ერთეულისა) ბალისტიკურ შემოწმებას შენახვის ადგილზე (შესაბამის სავაჭრო ობიექტში ან ამ ობიექტის საწყობში).

12. სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობის ლიცენზიის მქონე პირის მიერ ერთდროულად სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამი და მეტი იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით წარდგენის შემთხვევაში, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტით ერთი ერთეული იარაღის ბალისტიკური შემოწმებისათვის განსაზღვრული საფასური მცირდება 10 ლარით.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იარაღზე, რომლის ბალისტიკური შემოწმება არ არის სავალდებულო;

ბ) იარაღზე, რომლიდანაც სავალდებულოა ექსპერიმენტული გასროლის განხორციელება;

გ) სააგენტოში რეგისტრირებულ იარაღზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 21 სექტემბრის №779 ბრძანება - ვებგვერდი, 22.09.2011 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 4

სააგენტოს უფლება აქვს უარი განაცხადოს იარაღის ბალისტიკური შემოწმებაზე ან/და შესაბამისი აქტის გაცემაზე, თუ :

ა) ბალისტიკური შემოწმების შედეგად გამოვლინდა იარაღის ან მისი ძირითადი ელემენტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა ან კონსტრუქციული ნაკლი, დაზიანება ან გაუარგისება, რის გამოც შეუძლებელია მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება ან ექსპლუატაცია შეცვლილია ტექნიკური მახასიათებელი;

ბ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული იარაღის ან მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის (ხელახალი რეგისტრაციის) შემზღუდავი გარემოება;

გ) არსებობს ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები;

დ) იარაღის დადამღვის განხორციელებისათვის, ამ წესით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, დაინტერესებული პირი უარს აცხადებს იარაღის დადამღვაზე;

ე) ბალისტიკური შემოწმების შედეგად ვერ დგინდება კანონმდებლობით განსაზღვრული სარეგისტრაციო მონაცემები;

ვ) წარმოდგენილი არ იქნა ბალისტიკური შემოწმების ან/და იარაღის დადამღვისათვის კანონით განსაზღვრული საფასური;

ვ^{1}) ბალისტიკური შემოწმებისათვის წარდგენილი იარაღის შესახებ ინფორმაცია „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით წარდგენილი არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოში;

ვ^{2}) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულო არ არის იარაღზე ბალისტიკური შემოწმების ჩატარება.

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 13.10.2020 წ.

მუხლი 5

1. სააგენტოს თანამშრომელი იარაღიდან ექსპერიმენტულ გასროლას აწარმოებს:

ა) მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის – პისტოლეტის ან რევოლვერის (მათ შორის, საფანტის) ბალისტიკური შემოწმებისას;

ბ) მოკლეხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი, იარაღის შემადგენლობიდან განცალკევებულად ლულის რეგისტრაციისათვის (ან ხელახალი რეგისტრაციისათვის) ბალისტიკური შემოწმების განხორციელებისას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას ლულიდან ექსპერიმენტული გასროლა წარმოებს მის შესაბამის იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრების გზით.

3. ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით რეალიზაციისათვის განკუთვნილ იარაღიდან ექსპერიმენტალური გასროლა ხორციელდება, მისი რეალიზაციის შემდგომ, იარაღის შემძენის მიერ სააგენტოში იარაღის რეგისტრაციისას.

4. დაინტერესებული პირი ვალდებულია იარაღიდან ექსპერიმენტული გასროლის განსახორციელებლად, სააგენტოში წარმოადგინოს იარაღის შესაბამისი არანაკლებ სამი ვაზნა. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე სააგენტო უფლებამოსილია არ განახორციელოს იარაღის რეგისტრაცია (ხელახალი რეგისტრაცია).

5. ექსპერიმენტული გასროლის განხორციელებამდე, იარაღზე ან ვაზნაზე რაიმე სახის მექანიკური დაზიანების ან დეფორმაციის გამოვლენის, აგრეთვე ვაზნის კალიბრის იარაღის კალიბრთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია განახორციელოს იარაღისა და ვაზნების ვიზუალური დათვალიერება.

6. სააგენტოს თანამშრომელის მიერ იარაღიდან ექსპერიმენტული გასროლა წარმოებს სპეციალურ ტყვიამჭერში, ამასთან გამორიცხული უნდა იქნეს გასროლილი ტყვია-მასრების შემთხვევით შეცვლა სხვა იარაღიდან გასროლილი ტყვია-მასრებით.

7. აკრძალულია ექსპერიმენტული გასროლისას უცხო პირის დასწრება.

8. სააგენტოს თანამშრომელი, ექსპერიმენტული გასროლის შედეგად მიღებულ მასრებსა და ტყვიებს, ათავსებს შესაბამის კონტეინერში (კოლოფში, პაკეტში) და ლუქავს. დალუქული კონტეინერი იარაღისა და მისი მფლობელის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებთან ერთად 30 დღის ვადაში, ტყვია-მასროთეკაში განსათავსებლად გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

9. ექსპერიმენტული გასროლა არ განხორციელდება, თუ:

ა) კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოდგენილი იარაღიდან ან მისი ძირითადი ელემენტიდან ექსპერიმენტული გასროლის ვალდებულებას;

ბ) დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა იარაღის ბალისტიკური შემოწმების განხორციელებაზე;

გ) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტის ან ვაზნის დაზიანების, გაუმართაობის ან კოროზიის გამო შეუძლებელია ექსპერიმენტალური გასროლის წარმოება;

დ) იარაღის გაუმართაობის გამო ექსპერიმენტალური გასროლის შედეგად ტყვიებზე ან მასრებზე შეუძლებელია ექსპერიმენტალური კვლევის მიღება;

ე) იარაღიდან ექსპერიმენტალური განსროლის განსახორციელებლად დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი არ იქნა შესაბამისი რაოდენობის ან ტიპის ვაზნები;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

10. სააგენტოს (თანამშრომელს) არ შიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ექსპერიმენტული გასროლისას იარაღის დაზიანებისათვის, თუ აღნიშნული არ არის გამოწვეული მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

მუხლი 5[1]

1. პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმებისას დგინდება სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14[1] მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილების დანართი №3-ით და დანართი №4-ით განსაზღვრულ მახასიათებლებთან შესაბამისობა, ასევე, იარაღის სახე, მარკა, მოდელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, კალიბრი, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პნევმატური იარაღის საბაზრო ღირებულება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნით ბალისტიკური შემოწმება ხორციელდება:

ა) რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ პნევმატურ იარაღზე;

ბ) პნევმატური იარაღის შემადგენლობისაგან განცალკევებულად რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ მის ძირითად ელემენტზე;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით, აუქციონის გზით რეალიზაციისათვის განკუთვნილ, ყადაღადადებულ პნევმატურ იარაღზე;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ რეალიზაციისათვის განკუთვნილ პნევმატურ იარაღზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

მუხლი 5^2

1. გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგიის (გამოსახული ჯოულებში) დადგენის მიზნით პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმებისას ხორციელდება გასროლა. გასროლისთვის საჭირო ჭურვს უზრუნველყოფს სააგენტო.

2. გასროლის განხორციელებამდე, სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია განახორციელოს პნევმატური იარაღის ვიზუალური დათვალიერება, მასზე რაიმე სახის მექანიკური დაზიანების ან დეფორმაციის გამოვლენის მიზნით.

3. აკრძალულია პნევმატური იარაღიდან გასროლისას უცხო პირის დასწრება.

4. სააგენტოს (თანამშრომელს) არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა პნევმატური იარაღის გასროლისას იარაღის დაზიანებისთვის, თუ აღნიშნული არ არის გამოწვეული მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

5. გასროლა შეიძლება არ განხორციელდეს, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემის დადგენა შესაძლებელია რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი პნევმატური იარაღის ტექნიკური მახასიათებლების ამსახველი დოკუმენტაციით, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დასკვნით, ან სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით.

6. კონსტრუქციული თავისებურებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, პნევმატური იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებული დებულებები, თუ ამ ან 5^1 მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

მუხლი 6

1. დაინტერესებული პირის მიერ რეგისტრაციისათვის (ან ხელახალი რეგისტრაციისათვის) წარმოდგენილ იარაღზე, დაზიანებული საიდენტიფიკაციო ნომრის არსებობის ან საიდენტიფიკაციო ნომრის არ არსებობის შემთხვევაში, ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილი წესით ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი. საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხორციელდება სააგენტოს თანამშრომლის მიერ, მისი იარაღის ძირითად ელემენტზე დადამღვის გზით.

2. დადამღვა ხორციელდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სააგენტოს ტერიტორიულ დანაყოფში, სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით.

მუხლი 7

1. რეგისტრაციისათვის განკუთვნილ იარაღზე (მის ძირითად ელემენტებზე) საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება და დადამღვა ხორციელდება, თუ:

ა) სანადირო გლუვლულიან იარაღს (თოფს) ჩარჩოზე ან/და ლულაზე ან/და ტიბჟირზე არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) სანადირო ხრახნილლულიან იარაღს (კარაბინს ან შაშხანას) ჩარჩოზე არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) სანადირო კომბინირებულ იარაღს ჩარჩოზე ან/და ლულაზე ან/და ტიბჟირზე არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) პისტოლეტს ან რევოლვერს ჩარჩოზე ან/და ლულაზე ან/და ჩამკეტზე არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

ე) ცალკე რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ძირითად ელემენტს (გარდა დოლურასი) არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი;

ვ) სანადირო და სპორტულ პნევმატურ იარაღს ჩარჩოზე ან/და ლულაზე არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება ქარხნულად დაკომპლექტებულ იმ მარკა/მოდელის იარაღებზე, რომელთა ძირითად ელემენტზე საიდენტიფიკაციო ნომრის დატანას არ ითვალისწინებს ქარხანა-დამამზადებელი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ძირითად ელემენტზე დაუზიანებელი საიდენტიფიკაციო ნომრის არსებობის შემთხვევაში, მეორე ძირითად ელემენტზე დამღის სახით დაიტანება იდენტური ნომერი, ხოლო თუ არც ერთ ძირითად ელემენტს არ გააჩნია ან გააჩნია დაზიანებული საიდენტიფიკაციო ნომერი, იარაღს (მისი ძირითად ელემენტს) ენიჭება ახალი საინდენტიფიკაციო ნომერი.

4. იარაღზე (მის ძირითად ელემენტზე) ახალი საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვისას, ნომრის კომბინაცია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 4 ციფრისაგან.

5. ახალი საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების შემთხვევაში, ძველი (დაზიანებული) საიდენტიფიკაციო ნომერი ჩაითვლება გაუქმებულად.

6. ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით რეალიზაციისათვის განკუთვნილ იარაღზე საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება და დადამღვა ხორციელდება, მისი რეალიზაციის შემდგომ, იარაღის შემძენის მიერ სააგენტოში იარაღის რეგისტრაციისას.

7. დამღის ფორმა მტკიცდება სააგენტოს დირექტორის მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 21 სექტემბრის №779 ბრძანება - ვებგვერდი, 22.09.2011 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.